ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 34

25 სექტემბერი 2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური -გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა.

2. კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე,დავით უთმელიძე ლევან დარახველიძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე კომისების წევრებს და გააცნო დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი№11-01182673305 (24.09.2018 წ) - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ".

საკითხის შესახებ ისაუბრა გაიოზ თალაკვაძემ. გამგეობების მიერ წერილობით მოწოდებული მოთხოვნების შესაბამისად გზების მოვლა შეკეთების, კეთილმოწყობის ღონისძიებებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამებში, ხდება კვარტალური ცვლილებები. თანხები გადადის მესამე კვარტლიდან მეოთხე კვარტალში. მხოლოდ საბურთალოს რაიონის გამგეობა აღნიშნავს, რომ მესამე კვარტალში ამხანაგობების განვითარების

პროგრამაში ინტენსიურად მიმდინარეობს პროექტების დაფინანსება. მესამე კვარტალში მათ რესურსი აქვთ მხოლოდ 290 590 ლარის და დამატებით მესამე კვრატალში ესაჭიროებათ 100 000 ლარის გადმოტანა მეოთხე კვარტლიდან. გაიოზ თალაკვაძემ დაწვრილებით ისაუბრა გამგეობების მიერ წერილობით მოწოდებულ იმ განმარტებებზე, რის გამოც ითხოვენ კვარტალურ ცვლილებებს. გარდა ამისა სსიპ ბაგა-ბაღების სააგენტო ითხოვს მეოთხე კვარტლიდან მესამე კვარტალში 3 305 000 ლარის გადმოტანას, მიმდინარე კვარტალში დაგეგმილთან შედარებით გაიზარდა აღსაზრდელთა სწრებადობის პროცენტული მაჩვენებელი, გარდა ამისა სააგენტოს მოუწია საბავშვო ბაგა-ბაღებში ყაზტრანსგაზ-თბილისის, სურსათის ეროვნული სააგენტოს და სსიპ „112“ მიერ დაწერილი რეკომენდაციების აღმოსაფხვრელად საჭირო შესყიდვების განხორციელება და ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების შეუფერხებელი გახსნისათვის დაგეგმილთან შედარებით მეტი ხარჯის გაწევა.

კომისიის ყველა დამსწრე წევრმა ხმა მისცა წარმოდგენილ ცვლილებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი „თბილისის მუნიციპლიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახური,რაიონული გამგეობები და ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო ითხოვენ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით მათზე მიკუთვნებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალურ გადანაწილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების გადაწყვეტილებით:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას დანართის შესაბამისად.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი ზარქუა